

თეატრი და სსოვნება

საინფორმაციო სალიტერატურო აქრნალი



კვირა, 13 მარტი ფ ა ს ი
№ 11 — 1916 10 კ.

მიიღ პ. ხელს. კოფირა 1916 წ. შ
თეატრი და ცსოვნება
წელიწადი მეოთხე. (იხ. შუკ-4 კ)



მუნე სიული

საფრანგეთის გამოჩენილი ტრადიკოსი, ჰამლეტის
როლში, ჯ 19 თებერვ.



პრაპორშჩიკი

თავ. ღიმიტ. ნიკ. თაბახანი-მოურავნი

ბრძოლის ველზე დაზიანების გა
მო უნროვოდ გარდაიცვალა და სოფ.
ერთაწმინდას წაისვენეს, 13 მარტს
საგვარეულო აკლდ. დასაკრძალად

დასლო ჩვენს ქვეყანას—განსაკუთრებით ჩვენს ქმებს მაჰმადიან ქართველებს—საქარლებს და რომელსაც შეძლება დიდი აქვს, მთავრობაც ღირსეული ნდომით უყურებს, ვერ მოახერხა ხალხისთვის ჩრდილოეთიდან სათესლე და საკმაო საკვები შემოეტანა, თუმცა რომდენიმე ათასი ფუთი უკვე ნაყიდი აქვს...

ჩვენმა ხალხმა თვითონვე უნდა გამოიჩინოს თავისობა და რა გზითაც უნდა იყოს, სათესლე და ფქვილი შემოიტანოს, ხოლო შემდგენისთვის ეცადოს—თვისი მეურნეობა იმ ღონემდის აიყვანოს, რომ სხვის შემადქერელი—ჩრდილოეთისკენ ხელგაწეილი აღარ შექმნეს...

ხსნა მხოლოდ თვითმოქმედებაშია, საკუთარ შემოქმედებით ძალთა ამუშავებაში..

გ ა ფ რ თ ხ ი ლ ე ბ ა

ვაზეთებში აღნიშნული იყო ბ. ნოე სიხარულიძისაგან დანიშნული პრემიები ჩონგურის საუკეთესო დამკვრელთათვის. ბ. ნოე სიხარულიძის წრფელი გულშემატკივრობა ეროვნულ საქმისთვის დიხასაც რომ საქები და მისაბაძი მაგალითია, მაგრამ არ შემძლიან ყურადღება არ მივაქციო ერთ მხარეს, რომელიც სახიფათოდ მიმაჩნია...

ქართული სიმღერა-გალობა დიდი ეროვნული განძია და მისი შენახვა-განვითარება ეროვნული მოვალეობაა; მხოლოდ რაც შეეხება ჩონგურ-ქიანურის პრობაგანდას ახალგაზღვრაში (აქ ახალგაზღვრა უნდა ვიგულისხმოთ, როგორც ჩვენი კულტურული წინმსვლელობის იმედი), რაც შეეხება ჩონგურ-ქიანურის მნიშვნელობას მომავალს ჩვენს მუსიკალურ განვითარებაში, —ღმერთმა დაგვიფაროს, რომ მათ ანაბარად არ დავრჩეთ!..

ჩონგური, ქიანური, თარი და გიტარა—მანდოლინაც მხოლოდ „საყველ-პური“ მუსიკალური საკრავებია და არც მომავალი აქვთ ხელოვნებაში; ჩონგური და ქიანური მხოლოდ ხალხურ საკრავებად უნდა ჩაითვალოს, რადგანაც მათ ღარბ მინარს შეუძლიან დააკმაყოფილოს მხოლოდ მდამბო ხალხის განუვითარებელი გემოვნება. ჩონგურ-ქიანურის მუსიკალური პოტენცია მეტად სუსტია და ხელოვნების განვითარებას შორს ვხვს ვერ ვაპყვებთ; ამ საკრავებს ჩვენს მუსიკაში ისეთივე ალაგი უკავიათ ზედმიწევნით, როგორც, მაგალითად, ძველებურს უზარ-მაზარ გუთანს ჩვენს მეურნეობაში: ჩონგურ-ქიანურის „გაღმერთება“ ისეთივე შეცდომა იქნებოდა, როგორც ძველებური გუთნით ხვნა—ქაბანწყვტა!..

ვაზეთების თითქმის ყოველ ნომერში შეხვდებით: „სახელგანთქმული ანრი მარტო... გოფმანი.. კუბელიკი.. ვილლი ფერერო... რახმანიოვი... გუბერმანი.. ხეთიცი“—და არსად არც ერთი „ნაცონი“ გვარი. ღმერთმა აკურთხოს და ამრავლოს ეს მშვენიერი ხელოვანი ადამიანთა საბედნიეროდ, მაგრამ ამ უცხო გვართა ყურწართმეულს გული სვედით გვესება, რომ მათ რიცხვში არ არის ანცერთი ქართველი!

გვსურს თუ არა, რომ ქვეყნიერებაში ჩვენც სხვის თანასწორნი ვიყვნეთ? გვსურს თუ არა, რომ კაცობრიობის საუნჯეში ჩვეც შევიტანოთ რამ და არა მარტო მივიღოთ სხვისგან, როგორც მოწყალება უქნარა—ვაზარბებთ? რა შეგვაქვს ჩვენ დღეს საერთაშორისო ცხოვრებაში ჩვენი მუსიკალური საუნჯიდან? თითქმის არაფერი!.. ან კი საიდან? დღეს ჩვენ ისევ შემქვართულ ბუხარს ვუხსნედვართ და ჩონგურს ვაჩხლავებთ...

განა გოფმან-კუბელიკების მიმა-პაპათ კი არა ჰქონდათ ჩონგურები, მაგრამ დიდი ხანია, რაც იმათ ისტორიას ჩააბარეს ეს ძვირფასი ეროვნული საკრავები და ახალგაზღვრობა კი აღზარდეს როიალზე, ვიოლინოზე, ურომლისოდაც ყოვლად შეუძლებელია მუსიკალური ხელოვნების განვითარება უმაღლეს წერტილამდე. დღე, ჩონგურ-ქიანური დარჩეს ხალხში, ვიდრე ეს აკმაყოფილებს მის მუსიკალურ მოთხოვნილებას და მეტს ხელი არ მიუწვდება, ჩვენი მომავლის იმედს—ახალგაზღვრობას კი ავაკლინოთ ეს სახიფათო ჩვენი ეროვნული მიდრეკილება!..

არ უნდა დაიკარგოს ან დამახინჯდეს ქართული სიმღერა-გალობის არც ერთი კოლო, არც ერთი ჰანგი; უნდა გადაღებულ იქმნას



ნოტებზე და შენახული, როგორც დიდებულთა ეროვნული განძი; ახალგაზღობა აღვზარდოთ ნამდვილ მუსიკალურ სასწავლებლებში, შევიპოვოთ ჩვენი მდიდარი მუსიკალური მასალა,—იი რას უნდა შევიალიოთ ჩვენი ჯიანდაკი და არა ჩინგურ-ქიანურის პროზაგანდას!..

ჩემი ყურადღება მიიპყრო კიდევ ერთმა უცნაურობამ: აღძრულია საკითხი ქართულ სფიკსზე, ეროვნულ მუსიკაში გამყვენელ ელემენტების შემოკრახზე, ახალგაზღობის მუსიკალურად აღზრდაზე — და ამ სპეციალური მძივე საკითხებით მიუძარბოთ... ეთნოგრაფიული საზოგადოებისთვის!..

თბილისში არსებობს ქართული ფილარმონიული საზოგადოება და, თუ არა ვცდები, მას „ნოტა-ოლანდა“ შეეხება წამოყენებული საკითხები...

მაგრამ ამაზე შემდეგ...

ნ. ყაზბეგი

ჩატეხილ ხილზე

მაჰმადიან ქართველთა სტუმრობა თბილისში

ძმანი ერთმანეთს ჩატეხილ ხილზე შევიკით...

ჩვენი ცხოვრების ისტორიის გაუკუღმართებული ჩარხი უკვე შემოტრიალდა...

რამდენიმე საუკუნით ურთიერთისგან გათიშულ ძმათა კვლავ ვიპოვეთ ერთმანეთი., და სულით სულს ვეზიარეთ, გულით გულს შევეტკბეთ...

დღემდე ამაღ თქმული აწ უკვე საქმედ იქა...

მაჰმადიან და ქრისტიან ქართველთა შორის გაიღო ხიდი დარღვეული ურთიერთობის აღსადგენად და განსამტკიცებლად.

გასულ კვირას ბათუმის ოლქი დ თბილისს ჩამოვიდა მაჰმადიან ქართველთა დეპუტაცია, 20 კაცისაგან შემდგარი, მ მარტს მეფის ნაცვალს წარუდგა და მადლობა მოახსენა ყურადღებისათვის, აუხსნა მაჰმადიან-ქართველთა დღევანდელი მდგომარეობა საქირიყ.

ბანი და სთხოვა: 1) დაბრუნების ნება მიეცეთ შიშიანობის დროს ოსმალეთში გადახვეწილ მაჰმადიან ქართველებს; 2) დაბრუნებულ იქმნენ თავიანთს სამშობლოში მართებლობისგან გადასახლებულნი; 3) მაჰმადიან ქართველთა მიწა-წყალი არ გაიციეს იჯარით მოსულ ხალხზე და დაცულ იქმნას მის პატრონთა დაბრუნებამდე და 4) სპარსეთში მიცემულ მაჰმადიან ქართველებს შეღავათი მიეცეთ, მეფის ნაცვალმა, მისმა უმაღლესობამ დეპუტატებს დიდის ყურადღებით მოუხმინა ყველაფერი და შემწეობა აღუთქვა.

შემდეგ დეპუტაციამ ინახულა დეპუტატთა საკრებულო, ქ. შ. წ. ს. თავმჯდომარე გ. ნ. ყაზბეგი, ქართული ვაზეთების რედაქციები და ყველას მადლობა გამოუცხადა დახმარებისთვის იმ განსაცდელისა ეამს, რომელიც კერძოდ აქარას და საერთოდ მაჰმადიან ქართველებს თავს დაატყდა...

ათს შარტს, ქართული პოლიტიკური პრესის არსებობის ომშიცდა ათი წდას შესრულების დღეს, ქართველმა საზოგადოებამ ჩვენს ძვირფას სტუმრებს ნადიმი გაუშარბა „ახალი კლუბის“ დარბაზში. ნადიმს დაეწარენ ქართული ეურნალ-ვაზეთების და ქართველთა თითქმის ყოველი წოდებისა და ხელოვნის წარმომადგენელი, 200 კაცამდე, ნადიმის თამადა-თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა დამსახურებული მოღვაწე, გენ. გ. ყაზბეგი, რომელიც 70-ს წ-ში თითქმის პირველმა გასდო ხიდი სამუსულმანო და საქრის. საქართველოს შორის, მის თანამეშვეებად — ბ-ნი გ. ბ. გვაზავა და თავ. გ. ნ. დიასმიძე.



ეს ჩვეულებრივი ნადიმი ეც არა — ნამდვილი ეროვნული, მრავალ ათე- გენ. გ. ნ. ყაზბეგი ულ წლებით მიძინებულ მოღვაწე სამუსულმანო ქართველი სულის გაღვი- ნო საქართველოს შეძების დღესასწაული იყო... მოერთებისა.

და იგი ახალი ხანის სათავედაც დარჩება... გზა მიეცა დახშულ გრძობას, მშობლიურ სწორმეტყველებას, ლალ პოეტურ აღმაფრენას...

დინჯი მისაღმება გ. ყაზბეგისა, მდგომარეობის განმარტება პოეტური აღმაფურებით გ. გვაზავისი, დარბაისლური, მარტივი, მივივით ასხმული, დაკვირისტებული, მალალ ქუისი ნაყოფი მამული შვილური მოწოდება მაჰმადიან ქართველის ხოჯა ცივადისა, რომლის ტბ-ლ ქართულმა ნათელ ჰყო, რას იგულისხმებდა ქართველი როცა იტყოდა ხოლმე—პირველ თქმულია ძველთაგან სიდაჯბაისლე შესხისათ, დაკარგულ მშათა ძმობა-ერთობის მლაღდებელი აღმოთქმა მ. ვ. მაჩაბლისა, გულის გულიდგან აღმოსკუდარი ძახილი რეჯებ ეფენდი ნიჟარაძისა, კენესა სულისა მაჰმედ ბეგ აბაშიძისა, ჩვენი მომავლის განკვერტის კაზმული ხატება ს. კედიასი, დაკვირვებული და მოსაქმე რეჯეა ექ. თაყაი შვილისა, ღრმად განსჯილი სახელმწიფოებრივი ბჭობა მსტოვან ნ. ნიკოლაძის ანუ გრძნობად დამდნარი გამომახილი გრ. დიასმიძისა თუ ი. მაქავარიანისა ურთიერთის ექიმებოდენ და ჰქმნიდენ მთლიან ძლიერ ეროვნულ მოწოდებას...

მაგრამ ყველას თაიგული იყო მაჰმადიანი ქართველი ხოჯა ცივადე, რომელმაც თავისი დაკვირვებული, ქართულ მამულიშვილური გრძნობით გამოხარ, შინაარსიან სადა სიტყვით დამსწრენი აღტაცებაში მოიყვანა... არა, ეს სიტყვა კი არ იყო, არამედ პირველ დროის მოციქულთა იერემისებური მოთქმამოწოდება... ძნელია აღიწეროს მისი სიტყვის შვენიერება: იგი სიტყვა კაცს არა თუ უნდა ესმინა, არამედ უნდა ეხაზნა, ესუნთქნა, რომ მისი დიალობა შეეგრძნო...

„უზუნაეისის განგებით გათიშულნი ძმანი კვლავ ერთად ვართ... და ეს უნდა დაედოს საფუძვლად ჩვენს ერთობას... რ. ერისთავი გვასწავლის „ნათგარჯ უფათი, სამშობლოდ ერთა ქვეყანაზედა“-თა ერთთა ჩვენ სამშობლოც და ურთიერთის საქმით დაგებმარნეთ, მის აღსაღდგენადოა“.



ნიკანდ. ეფენ. ცივადე ხოჯა, იგივე ყალი—საჯულელი, უმაღლესი სწავლა სტამბოლის სასულიერო აკადემიისში აქვს მიღებული.

—აი მოკლე და მკრთალი ნაქეთი ხოჯა ცივადის სიტყვისა.



რეჯებ ბეგ ნიჟარადე სწავლობდა ქართ. გიმნაზიაში, გაათავა უმაღლესი სასწავლებელი და აწ ბათუმის ქალაქ ს ხმისანი-წვერია.

თობით ჩამორჩა, ძველი ლამპარი ჩაჰქრა, წყვილიდმა მოიცვა. თუ გსურთ დაგიბრუნდეთ, თუ გსურთ მარტო სიტყვიერ შეერთებულად არ გამოვიდეს გასაქირში მყოფ ძმების შეხვედრა, მაშინ მოგვეცით სწავლა-განათლება და ოც-ოცდა ათი წლის შეწოდ ჩვენ დაგმწევით, არაფერში არ ჩამოგრჩებითო“.

გრცელი სიტყვა წარმოსთქვა მაჰმედ ბეგ აბაშიძემაც: „ყვავილი რო მოსწყდება ღეროს, გასკენება, გაყვითლება... როდესაც ყვავილი მოსწყდება, მიიკათ იგი გულზე, დაიკით ხელში, ეაღერსეთ და იქნება იგივე ყვავილი, რაც რომ იყო... აქარა ბედმა ბედმა მოსწყვიტა საუკუნოებით სამშობლოს გულს და ნუ გიკვირთ, თუ ეუცნაურდებით, თუ დღეს საკმაოდ ვერ უცენიხართ,—მოჰკიდეთ ხელი და ისევე თქვენთან იქნებო“... შინაარსიანი და ტკბილ-ქართული სიტყვა წარმოსთქვა თემურ-ბეგ ხიმშიაშვილიმაც...



მაჰმედ-ბეგ აბაშიძე

მონადიმეთ ართობდა მუსიკა და ქართული სიმღერები... დიდათ კმაყოფილი სტუმარ-



მასინძელნი მეოთხე საათზე დაიშალნენ, ხოლო მეორე დღეს—5 მარტს დეპუტაცია, რეჟებ-ბეგ ნიქარაძის გარდა, ბათომს გაემგზავრა...

დეპუტაციაში იყვნენ ჭობუჯეთიდან: 1) ისკანდერ ეფენდი ცივაძე, ხოჯა, იგივე ყალიშსაჯული, 2) რეჟებ ბეგ ნიქარაძე, ბათომის ხმოსანი-წვერი, 3) ყემბერ ალა ხარაზი, მემამულე, სოფლის სამსაჯულოს ყოფილი წვერი, 4) რეჟებ ეფენდი შაშიკ, პოდბორუზიკი; მარაღიდიდან: 5) ისაკ ეფენდი ხალვაში, პოდბორ, და იგივე წვერი ბათომის სახალხო სამსაჯულოს, 6) ჰიდარ ბეგ ბიზინ ზაადე, პრაპორჩ.; ზედა აჭარადან: 7) თემურ ბეგ ხიმშიაშვილი, 8) ჰასან-ალა ირემაძე, სოფ. ხორჯომელი, 85 წლისა, 9) ჯაფარ ალა მიქელაძე; ქვედა აჭარადან: 10) ჰუსეინ ბეგ ბეჟანიძე, 11) შაქარია ბეგ შარვაშიძე, 12) შუქრი ეფენდი თურმანიძე; შავშეთ-ამერსევიდან: 13) ოსმან ეფენდი კურდიკიძე, 14) თორუნ ეფენდი ფანჯიძე, 15) ჰეზმი ეფენდი ყუმაძე, 16) შევქეთ ბეგ გოგორაძე, 17) ასლან ალა ჯიჯარაძე, 18) ჰაჯი შაქრი ეფენდი ჩხეიძე, 19) მოლლა მამედ დლოძე და ანდანჯუჯადან: 20) შერიფ ალა გეგელიძე;—ხოჯა ცივაძის გარდა, ყველანი ჩაქურად იყვნენ გამოწყობილნი.

ჩატეხილი ხიდი უკვე გაიღო... ჩვენი ვალია ვეკლანეთ მის გამკვიდრებასა ორივე ძმის—არა მაჰმადიან და მაჰმადიან ქართველთა საბედნიეროდ...

იოსებ არიმათიელი

შუაღამის ღოცვებიდან

ა

მე მიყვარს შუაღამისას აღვავზნო სანთელი და კვალად ჩაეაქრო, ოდნავ შევარხია შავი სიღრმე შუაღამისა მისი თეთრ-ფრთიანი ნათელით...

აი, გავკარი ასანთი და ავანთე იგი... და მიყვარს ესე, რადგან ამ დროს მე ვევედრები იმ შორეულ უხილავს, რომელიც თვისი მეფურ გულის-თქმისათვის სიცოცხლეს ჩვენსას ხან აღავზნობს, ხან ჩამქრალ სანთელივით ფერფლად აქტევს მიწასთან შესაერებლად...

გ. ლეონიძე

ომის ღმერთი

ყველაფერი ომისათვის იწირება...

ომის ღმერთი გავვირისხდა და მოითხოვეს შესაწევარს.

ქაბუჯნი რაზმი და რაზმი ომის ღმერთს ეწირებიან,—ახალ-ახალი ძალები ომის ველზედა სისხლს ღვრიან.

და კვლავ ითხოვეს ომის ღმერთი ქაბუჯთა უწვევრ-ულღვაშოს, მიდიან ხალისიანად, დაუკითხავად ველზედა, ომის ღმერთს ეწირებიან.

დაცარიელდა სოფელი, ქაბუჯთა დიღინსიცილი აღარ მოისმის ველადა, დაობლებულნი მშობელნი გლოვობენ მეტის-მეტადა.

ომის ველზედა სწყდებიან რაზმი და რაზმი ჯარისა, სისხლი სდის ნაკადულივით, ომის ღმერთს ღებავს წითლათა.

და კვლავ მოითხოვეს სისხლის ღვრას, არ ძღება ღმერთი ომისა.

ჩჩეულნი ვაჟაკნი,—ოჯახის ბურჯნი ცოლშვილიანი გაიწვიეს ომის ველზედ, ომის ღმერთიც ითხოვეს მათაც...

მუშა ხელი შეცოტავდა, სოფლის დოვლათს და ქირანახულს კარგი არა მოეღისრა.

ომის ღმერთი არ იკმარის, მუშა ხელიც გაიწვიეს ომის ველზედ გზებისათვის,—ხარკამეიც მიაყოლეს ჯარის საკვებ-გასაძღომად. ყველაფერი ომისათვის იწირება...

დაჩა სოფელი ოხრად, მოხუცთა და ქალ-ბაღლთა ანაბარა.

Legatus

ეთერო კი ელოდა...

(ნამდვილი სურათი სოფლის ცხოვრებიდან)

—მასწავლებლო-ჯან, შენი ქირიძე, ერთი აღრესი დამიწერე ამ ქალაქდზე,—მომმართო კანცელარიის წინ ეთერომ და კონვერტი მომაწოდა. ხელში პატარა ნახევრად შიშველი ქუძუს ბავშვი ეჭირა; ბავშვი დედას მაგრად ჩაკონებოდა. მეორე ბავშვი კი გვერდში ამოპტუზებოდა დედას, კაბის კალთაზე ხელს არ ამორებდა და თან ხმელი პურით ილოღნებოდა.



— ვის უგზავნი? — შევეკითხე ეთეროს და კონვერტი ჩამოვართვი.

— ვის უნდა გაუგზავნო, ბატონო, და ი უბედურ კაცს უგზავნი! და თან ნაგლეჯ ქაღალდზე დაწერილი მისამართი მომეწოდა. ეთეროს სახე მეემქუხნა და, უცხად, ცრემლებმა დაბა-ღუპით დაუწყეს დენა.

— ყოველ კვირა ვგზავნი წერილს, პასუხი არ მომდის, არ ვიცი ცოცხალია თუ მკვდარი? — თან ეთეროს გული უფრო ამოუჯდა და ტირილს უშატა; ბავშვებმა ერთი გავკირავებთ შეხედეს და, დედის ტირილი რომ გაიზარეს, მათაც ხანი მისცეს... ეთერომ თავი შეიკავა, თვალები ამოიწმინდა და აკანკალებული ხმით განაცხადა: — შარშან მკათათვეში რომ წაიყვანეს, — დაიქვა ჩემი ცოდვით ის თვე, პირველად „ვენობა“ რომ დაიწყო, იმი შემდეგ სამი წერილის მეტი არ მიმიღია შაქროსაგან... მაგრამ ამ ბოლოს, დეთის მადლით კარგ სიზმრებსა ვხედავ, — სიზმრების ხსენებაზე ეთეროს სახე გაუბრწყინდა, თვალებზე ჯერ კიდევ შეუშრობელი ცრემლები აუციმციმდა: სიზმრები დაცდილი მაქვს, არ შეიძლება ამ ცოტა ხანში შაქროსაგან გასახარელი წერილი არ მომივიდეს... ამ ბოლო დროს სულ თვალში მეღანდება, და იქნება ღმერთმა კიდევ მალარსოს იმ...

— შენ ეი, დედაკაო, ი გიგრაო როდემდი უნდა ეგდოს კანცალარიაში? — სიტყვა დასრულებული არ ჰქონდა ეთეროს, რომ გზირის ხმა მოისმა. გზირის საშინელი, უსიამოვნო სახის გამომეტყველება ჰქონდა, თოფი მხარზე მოედო, მათარხს ხელში უღარდელად ატრიალებდა.

— ზოგი ვიშოვნე, ცოტა კიდევ მიკლია, უპასუხა ეთერომ, პირი გზირისაკენ იბრუნა და თან ქუქყიან ცხვირსახოცში გახვეული ფულის თვლა დაიწყო, — ოთხ აბაზ უზანთული უნდა აკლდეს, მამასახლისს მიწა შევეხვეწო, — დანარჩენი ცოტა ხნის ვადით მალაროვოს, რა ვქნა, მეც ერთი საწყალი დედაკაცი ვარ, თვითონ იცით შაქრო ამდენი ხანია „ვენეშია“, ოთხი უსუსური ბაღლი ჩემს კისერზეა, ყველაფერი მამასახლად გახდა, ბაღლები შიშვლები მიყრიან, სიშვილეს ვინ და-

ეტებს, ნეტა სიმშლით არ მომიკვდებოდნენ... შარშან დამუშავებული ქირახელის შემობრუნებულ ვერ ვიშოვნე ყანიდან, წელს კი...

— შენ რო ლაპარაკს დაიწყებ, კაცი ხომ აღარ გვაჩუმებს! — გააწყვეტინა კიდევ გზირმა ეთეროს სიტყვა.

— აგიჟინია: „ვენეშია“ და „ვენეშია“! „ვენეში“ მარტო შენი ქმარი ხომ არ არის? გზირმა უფრო მრისხანე სახე მიიღო.

შევედი კანცელარიაში, კონვერტზე მისამართი დავაწერე, გადავეცი ეთეროს და გულდანაგღვინებული გავეშუტე ჩემი ოთახისაკენ...

მეორე კვირას კანცელარიაში ყრილობა იყო; გლებები ჯგუფ-ჯგუფად იჯდნენ; ყველას მოწყენილობა ეტყობოდა.

— არა, ძმაო, ამაზე მეტი უსამართლობა რაღა იქნება, მარჩენელ საქონელსაც რომ გვართმევენ, ვინც შინ ვართ — სიმშლით ხომ არ უნდა ამოვწყდეთ: გლებს კაცს უსაქონლოდ სიციხეში როგორ შეუძლია? გაიძახოდა ერთი მოხუცებული გლეხი...

— ამდენ „სალდათს“ მაშე ჰქვამა არ უნდა, კაკო? — ჩილიაპარაკა შესაგმე.

— მასწავლებელი „პოქალუსტა“, ერთი ეპრიკაზები წამოიკითხე, — მომმართა მამასახლისმა და გაუხსნელი კონვერტი გაღმომცა — „პისარი“ არ არის აქ. გავხსენი პირველი კონვერტი და ამოვიკითხე:

„№ — у Старшинъ. Объяснить роднымъ Шахро Асламазашвили объ его смерти въ боѣ съ неприятелемъ“...

უცხად რეტი დამეხსა... ხელები ამიკანკალდა, გამახსენდა წარსულ კვირას დაწერილი მისამართი, თვალწინ წარმომიდგა საწყალი ეთერო თავის ნახევრად შიშველი ბავშვებით... დამძლია სიბრალულმა... საწყალი შაქრო... ომში მოუკლავთ... ეთერო კი ელოდა...

გრ. საქარიქედელი





მოხეტიალე მუსიკოსი

როგორც ვთქვი („თ. და ც.“ № 9) ერთხელ პეტროგრადში, კვირა დღეს, ლიგოვცისაკენ გავემართე... პირველ ეზოდანვე, შევზოგმ მხარში ხელის მოკიდვით გამომიყვანა. განვთავისუფლდი თუ არა, ლუდხანაში შევედი. მაშინვე ვიღაც გლეხი კაცი შემოვიდა და ჩემს ახლოს დაჯდა. დიდხანს მიყურა, მათვლიერა, შემდგე აღვა და პირდაპირ ჩემს მაგიდასთან მოვიდა.

— ეგ რა გაქვთ? საკრავი იარაღია?... — შემეკითხა და უხეში, დაკოტრებულ ხელებით სკრიპკას სინჯავ დაუწყია.

— ეს სკრიპკაა, — ვუპასუხე.
— ძალიან მიყვარს, დაუკარით...

ლუდის მოვაჭრემ დაკვრის ნება მომცა... ჯერ ისევ სკრიპკას ვმართავდი და ყველა იქ მყოფი უცებ ჩაჩუმდა, ცნობისმოყვარეობამ შეიპყრო... დავიწყე დაკვრა...

— ვაჟა, კარგია... — მომესმა გამამხნევებელი ხმები, რომელსაც ცხარე ტაშის კვრა მოჰყვა. ის გლეხი კაცი აღვა, გასწორდა და ისევ ჩემთან მოვიდა: — მიზოძეთ, ძვირფასო, თქვენი ხელი, უღრმესი მადლობის თქმა მინდა. ისე კარგათ უკრავთ, რომ გული გამოთბეთ, გული ამტკივით...

ერთ ეზოში, სადაც ორი მხერხავი აუარებელ შეშას ხერხავდა, დაკვრა დავიწყე... ორივე მხერხავმა მუშაობას თავი დაანება, სმენდ ვადიქცა, და მოხუც ახალგაზღვა მხერხავს უთხრა: — უყურე, უყურე, სულ წვრილ სიმზე თითებს როგორ ათამაშებს, როგორ გადააქვ-გადმოაქვს, ჩვენც ვგრე ვიტანჯებით აი... დიდხანს მისმენდა, შემდგე ქული მოიხადა და იქ შეგროვილთა და მცხოვრებლებს დაუარა...

— ექვსი შაური შეგროვოვით. აი, მიიღეთ... სახალხო თეატრში უნდა დაუკრათ, თორემ აქ რას მოიგებთ; აქ ვერ დაგაფასებენ...

არასოდეს დამავიწყდება აგრედვე მოსკოვში მეეტლებთან შეხვედრა.

მოსკოვის სამრეწველოს ვეება სავაჭრო ეზო იყო. ყველა ხმაურობს, ვაჭრობა გაჩაღდა.

ბულია, ხოლო ერთ მხარეს მეეტლები ვენებენ და რიგს უცდიან...

ჯერ კანტორის მოხელეთათვის დაუკარი და შემდგე კი მეეტლებისკენ გავშურე. — აბა, დაუკრა?... — შევეკითხე.

ზოგი წამოდგა, ზოგი წამოჯდა, ზოგი კი სრულიადაც არ შენძრეულა.

— დაუკარი, რაღასა კითხულობ... მოიტავგ ბუდე, აი, აქ დასდევ... — ერთმა სკრიპკის ბუდე ჩამომართვა და ხელში დიქირა.

— მაგრამ, უბრალო რამ დაუკარი, თორემ ვერას გავიგებთ.

— განა იქ რომ ეუკრავდი, გესმოდათ? —
— როგორ არა, ყველაფერი მოვისმინეთ...

— და ვერ გავიგეთ? —
— ვერა.

— მაშ კარგი, ეხლა „ნანინას“ დაუკრავ...

— აბა, გაიგე? — როდესაც დაუკარი, შევეკითხე.

— „არა, ბნო, ვერ გავიგეთ“. „გავიგე, გავიგე“. „როგორ ვერ გავიგე, გავიგე მაშ“... — მოისმა ხმები... — კიდევ უფრო უბრალო — დიძახა ვიღაცამ...

— კარგი. ახლა გაგაგებინებთ, თუ მუსიკის მოსიყვარულის ტანჯვის გადმოცემა როგორ შეუძლიან...

შუბერტისა დაუკარი... — აბა მოგეწონათ? — გათავებისას ისევ შევეკითხე... ჯერ პასუხის გაცემას ვერავინ ახერხებდა; შემდგე ვიღაცამ ხეწწით წამოიძახა: — კიდევ ერთხელ, ძალიან კარგი იყო...

— „შარმანკა“ არ მოგეწონათ? — ვკითხე.

— ეგ, რა სათქმელია! ის მაღალ ხანია, ისე, გართობისათვის... ეს კი... და სხვა...

— ბნო ჩემო, შეიძლება ცოტა ხანს შეგაწუხოთ? — ერთხელ გისმინეთ და კიდევ მინდა მოგისმინოთ, — ეზოდან გამოსვლისას მითხრა ერთმა რომელიღაც საზოგადოების მსახურმა, რომელმაც ხელი მომიკდა და თავის პატარა ოთახში შემიყვანა. — დაუკარით რამე ნაღვლიანი, რომ გულს მოხედეს...

დაუკარი...
— თუ ღმერთი გწამთ, როდესაც ჩვენ

უბანში იყვით, ჩემთან შემოიარეთ...—მითხ-
რა გამომშვიდობებისას...

ლესაც ყურთ მესმის და თვალწინ მიდ-
განან აღფრთოვანებული ბავშვები და მათი
ყვირილი:— ზბიძია, ბიძია, ჩვენს ეზოში მობ-
ძანდით... .

და ვარდა ასეთ ამბების ხსოვნისა მაქვს
ბევრი წერილი, რომელშიაც ყველა დარგის
მცხოვრებნი, კარგი და ავი მოხელენი, ქალ-
ნი და ვაჟნი დიდს აღტაცებით მიხსენიებენ
და ჩემს „ნიქს“ ღვთაებრივად სახავენ... ერ-
თი კარის კაცი კი მთხოვდა კიდევ, დაკრა
მასწავლეო . .
ილიკო ქურსული



ვანო ბარკველი

ბათუმის სტენის მოყვარუთა დასის რეჟისორად მიწვე-
ული. მასთანვე მიწვეულია ან. კავთელი

ყ ვ ა ვ ი ლ ე ბ ი

დრო დროს გამოსცვლის, * *
მოგა ჟამი დამასმარებს
და ცის მაგიერ შავს მიწასა გადამაფარებს.
მოყვარენი კი საფლავის ქვას ზე დამადებენ,
ჩემს ვინაობას სახელ-გვარით დაახატებენ.
დრო დროს გამოსცვლის, წლები მრავლად ჩაინთქებიან,
ნელ-ნელა ხავსით ქვაზე ნაკვთნი შაიკმებიან.
და აღიგვეზა საწუთროში ჩემი სახელი,
არვინ იუწყებს; რომ მეც ვიყავ ქვეყნის მნახველი.
ნეტა არავინ გამოჩნდება დედა-მიწაზე,
რომ ყოფილიყოს საუკუნო სამყოფ ზეცაზე?
ვკითხო: რით არი (ვა დიადი, უკვდავ-უკლები?
როგორც ჩემს სახელს, რათ არ ჰშლიან ხავსი და წლები?
რომ შევისწავლო და ავიგო ძეგლი იმ გვარი,
რომ მეც, ვით ზეცა, დედამიწამ ვერ მნახოს მკვდარი;
დრომ დრო შეტკელოს, იყოს ქვეყნად კარგი და ავი,
ჩემი ძეგლი კი საწუთროში იყოს უკვდავი!..

მ. ველისციხელი



ალ. ლუარ. გოთჯაძე

ტყვის მფრქვეველ მანქანის მატ-
რიალუბელი (ბომბანდირი), ომის
დაწყებამდე ჯარში გაწვეული,
ბრძოლაში იყო, ვიდრე გერმანიის
სახლგარე 18 ტრილობით არ და-
ზიანდა. ლეოვის აღებისთვის და-
ჯილდოვებულია გიორგი IV ხარ.
ჯვრით, ხოლო მრავალ ტრილო-
ბათთვის—წარდგენილია გიორგი
III ხარ. ჯვარზე. წვეს მოსკოვის
ქართველთა ლეზარეთში და ლა-
ზარეთთა გაბგის ნიშო ფანიაშვი-
ლისა და ექიმთა მუყათით მეც-
დინეობით, იკურნება, თუმცა მარ-
ცხენა ხელი დაზიანებული აქვს.

მე მაინც გიძახი.

გამოგესალმე, წრფელის გრძნობით გითხარ მშვიდობით.
რა ძნელი იყო განშორება პირველად ვცადე.
მე ჩამოგზორდი, მეგობარო, შენ მიფარე,
ერთად ვიდლით, მისელა გვწაღდა აღთქმულ ქვეყნამდე.
მართკა დავრჩი ჩემის ნავით ზღვის ტალღათ შორის,
წარბ შეუხრებლად იალქანი მაინც გავშალე,
თუმცა გავაზე ტალღათ გროვა და გადავლახე,
მაინც მთელი ზღვა უშეშობით მე ვერ დავძალე...
და მენატრები, მეგობარო, სულის იმელო,
შენ კი შორსა ხარ და ჩემი ხმა ვეღარა გწვდება,
მაინც გეტახი ძველებურად, მწაფს—ახლო მყავდე,
თუმც ჩემი ხმები შეიძლება ზღვაშივე კვდება...

მედგარი

გეგმ ქაძაძე



მთაზე ვღვებარ!

მთაზე ვღვებვარ, კლდოვან მთაზე და ცის ტატნობს ვჭვრეტ, ვუყურებ, ძიების და გარდაქმნის გედს შორს სივრცეში მივაცურებ!..

გზას ვერ მიხზობს ღრუბელით გუნდი, ვერც ავსულთა შავი ჯარი, და ჩემ გედის გიჟურ სრბოლას არ აქვს ბოლო და საზღვარი!..

ის—მომავლის ტალღამ შობა, ტანჯვის ღმერთმა ფრთა შეასხა, და მსოფლიოს სიდიულმლოს ამოცნობა უკარნახა!..

ის—ძიების ტალ-კვესია, რისხვის მებით ფრთა აშლილი, ის—მომავლის შიკრიკია, ცისკრის ღმერთის მოგზავნილი!..

ის—ავსულთა საზიზღ ლაშქარს ძლივეს ფარად ვეღინება, ის—დატანჯულ შრომის შვილებს შვების სიოდ ეფინება!..

ის—მიწის ხუნდს და ტანჯვის ჯვარს ცის სივრცეში ეზიდება, ბოროტებას ცეცხლით სდავას, ის არავის უშინდება!..

ის—შრომელთა აღთქმის კარებს რთავს თვალწარმტაც ყვავილებით, ის—ჩაგრულებს მისკენ უხმობს ზეციური აღტყინებით!..

ჰსურს სევდის მგერღლ შავ-ბნელ ღამეს გაჰკრას თვისი ძლივეს ფრთებით, და ზღვა ხმელეთას მიავწვდინოს გამარჯვების, რისხვის ხმები!..

ის აროდეს არ შედრკება, ის აროდეს დასწევს ალაშის და ჩაგრულთა ლოდ განთიადს მოკრძალებით შეძღვნის სალამს!..

ბ. ვარდლოშვილი



მუსიკოსი იო კარგარეთელი

ოც წელზე მეტია ქართულ სამუსიკო ასპარეზზე მუშაობს, დაწერილი აქვს სხვა და სხვა რომანსები, შეკრიბა სახალხო სიმღერები და სასულიერო საგალობლები გადილო. კონცერტს 13 მარტს „ახალ კულტში“ მართავს სასულიერო კონცერტს.

ბ ა ნ წ ი რ უ ლ ე ბ ა

ცის სივრცეში მოლილოვეს მიწას, ნისლი ბურავს შავად, იმედის სხივს ფიქრთა სძლივეს ჩემი სული გახდა ავად!..

არსად შუქი... არსად მხსნელი, კლიტე აღდევს მახვილ ენას; არა მწამს რა... არვის ველი, ფრთა მოეჭრა აღმავრენას!..

ვერ მიუხვდი აზრს ღვთის ნებას, ვერ ვემონე ბნელს ხანგრძლივად; სურს მოქანცულს ჩემს არსებას გაქვავება ჩუმად... ცივად!..

კიკნა-ფშაველი



ბ რ ი კ ო ს ტ ი

ბესა სამ მოქ. და ოთხ სურათად (გაგრძელება. იხ. „თ. და ც.“ № 10)

III

ივინივე და ბესარიონი.

პავ. ოჰ, ბესარიონ, კაი დროს მოხვედი, შენთან საქმე მაქვს.

ბეს. სად არიან ეს ჩვენი ხაზენიები, რომ არ მოდიან სახლში!

ქესა. რა უჭირა... ბეჩა, ბესარიონ! იმათ არ მოვივდება, იმის ჯავრი ნუ გაქვს შენ. დადიან ნაცნობებში სადილოთ და ქე არიან არხენიათ.

ბეს. აღხეინობაა ზიძია, მერე მაგი! არაფერს მიჰყიდიან, კაცი არ დაელაპარაკება, დაჯდენ ორივე ცოლქმარი და ილაპარაკონ მარტოკა ეშმაკებივით.

პავ. ქე კი გოჯახლდებოთ სიყვარული, თვარა ქალბატონმა ამ ბოლო დროს რაცხა გვერდზე დიწყო კუდის ქანება.

ბეს. ორი ათასი კაცის ვადამტერება ხეშრობა კი არ არის. კანის უზამენ გგონია!

ორი ათასი კაცი კი არა, მე და ელიზბარი
ქინჭილიშვილს, რომ ლაპარაკი მოგვივიდა,
შენ ქე ვითხარი პავლია, მის შერე აღარ მო-
მისვენა: ბატი ვადღევიდა მის ეზოში, ესროლა
ჯოხი და გაავარა, ღორი ვადღევიდა, სტკუ-
ცა თოფი და გააკოტრილა, ძროხა ვადღევი-
და, დგეფვა ნაჯახი და დამიჩეხა. ამ ერთმა
ტინტრაკა კახაზმა ეს ამბავი დამიწია და ამ-
დენი ხალხის ვადამტერებას ხუმრობ, ბიძია!

პავ. ბესარიონ, მე ახლა შენთან ზოგედი-
ოდი, მაგრამ რაღაი შენ მოდი, მით უკეთესი.
აგერ კესაც აქანეა, და შენც ახალი ვადა-
წყვეტილება უნდა შეგატყობინათ.

კესა. არ გცხვენია, პავლია, რატომ
აქამდის არ მითხარი!

პავ. ბოშო, ვგერ მითხრენ ახლა და ქე
გეტყვი ყოლიფერს.

ბეს. აწი?

პავ. რადგან ხაზინი ძალიან ვაჯიუტდა,
ამიტომ ვადაუწყვეტიენ, რომ ჩვენც—ხელ-
ზედ მოსამსახურებმა—ხაზინის ბოიკოტი ვა-
მოუტყობდით.

კესა. როგორ, ბეჩა, როგორ!

პავ. როგორ და არ უნდა დაველაპარა-
კოთ ხაზინის და ქალბატონს, სალამი არ
უნდა მივცეთ, საქმეს მოგვცემს და არ ვავა-
კეთებთ.

ბეს. საქმე მაინც არ ვვამტვრევს თავ-
პირს, მარა ეს დოულაპარაკებლობა ვითამ
უშველის საქმეს!

პავ. უშველის რაღა დროისა! არაფერს
მიყლიდან, ქვეყანაზე კაცი არ დელაპარაკე-
ბა პრისტვისა და ხუთი-ექვსი ბურჯუის მე-
ტი. საქმეს არაფერი კაცი ვაუკეთებს და რომ
მოძულდება თავი, არ დააკმაყოფილებს მუ-
შებს გგონია?!

კესა. (ყოყმანით) ბეჩა, მაგი რავა შეიძ-
ლება! საქმე არ ვავაკეთო, არ დაველაპარა-
კო! მერე რავა უყვარვარ ქალბატონს და თე-
ლით გედირევა.

ბეს. სამსახურიდან ქე დავგითხოვენ.

პავ. შერე, რაია, დავგითხოვონ.

ბეს. ხო და არაფერი, ქაღი ბევრი მაქვს
სახლში და ლობიო. მაგენმა იჩივლონ, რომა
სუკის წვადები და ზღუთი თუ არ ექნათ,

სხვას ვერ მიირთმევენ, თვარა მე ლობიოსაც
კარგათ ვიხსლებით. დალოცა დემრთმა სო-
ფელი, ლამაზათ ვაფიცებულნი ქაღი, კაი
ამოღესილი ლობიო, ზედ ბეჯე რამე. ჩადო-
ბილი ქარხალი ან პატრიქანი. კაი თხელი
ღვინო ქინჭილით, რაკინ-რაკინი რომ ვააქვს
ყრინტში იმას არაფერი ჯობია.

პავ. გვერდშიც ლამაზი ბარიშნები. გი-
ტარას რომ დოუკრავენ და დაამღერებენ,
გული ფართხალს რომ დავიწყებს. აი მესმის.
ჰზინარ ქალიშვილებში აღხენიათ და ლლა-
ბურცობ. არც ბატონი ვაყვან იქნენ და არც
ქალბატონი. აქანე, რავარც ვავებუპრები კე-
სას და ეშხე მოსული გული რომ დეიწყებს
ფხარკალს და სული საცაა უნდა ამევიდეს
ზევით, იმ დროს ვამაწყვეტიებს აღერს ქალ-
ბატონი, ვოუწყდა იმას სახსენებელი. მაინც
და რომ დააწყებებს იმ ზარას რიწკინ-რიწ-
კინს, საშველს აღარ მომცემს. (კესას) კესა,
რამდენჯერ ჩოუშხამებია ჩვენთვის... (იღინის)

კესა. (გემას დაუწყებს) ნუ იცი შეგლა-
ხა ლაპარაკი, ნუ.

პავ. შეიცა, ბოშო, შეიცა! მე რომ
მკლავ, რავა ილია ლუკოვიჩის ხომ არ მი-
ყოში?

კესა. (სიფიქსით) პავლია, გაჩერდი გირ-
ჩენია, თვარა უფრო მეტი მოგხდებია.

ბეს. შეიცათ, ბიძია, ლლაბურცობა სა-
ხლშიაც ვეყოფათ აქანე საქმეზე ვილაპარა-
კოთ. (კესას) ბიძია, რომ კვინტრიშობ, რავა
მე აქანე კაცათ არ მაგდღფ თუ რაია! ბებერი
ვარ, მარა პატარა კულის ვაქანება მეც ქე
შემიძლიან.

კესა. უი, დემრთო მომკალი! ბეჩა ბე-
სარიონ, რას ლაპარაკობ, შენ ქალარას ვგ
ლაპარაკი უშველის?!

ბეს. უშველის რავა, დაყუდებული ბერი
კი არ ვარ!

პავ. ასე ჰო, ბესარიონ, ტყუილა გუ-
ლი მაინც ვეიმიხარულენ, თვალს წყალი დაა-
ღევიენ.

კესა. (თავისთვის) ამ დახლიფართულს
შეგეთ როგორი არშიყი ყოდილა (ბესარიონს)
ბეჩა, ბესარიონ, ვგ იმედი მქონდა შენი! კე
როგორც მამას ისე ვიყურებდი და შენ კი
არშიყობა დამიწყებ.



ბეს. (სიცილით) გეზუმრე, ბიძია, რაღა დროს ჩემი არშეყოფაა, ჩემიც ოხრათა მრჩე-
ბა. მე აქანა ვავდივარ და ჩემი ქალი ვინ
იცი ვის უპრაწავს თვალებს. (ვეჯღანი იცი-
ნანს) ნეტა მართლა დავითხოვდენ, ჩემთვის
ჯობია. ქე მაინც სახლში რომ ვიქნები, ვე-
ლარას ვაგებდავს. ეს რაცხა ბოიკოტია, ჩემს
ქალს უნდა გამოუტახადებდენ, რომ იგია მალ-
ლი. არაფერ დაელოპარაკება და ბევრიც რომ
უპრაწავს თვალები რა გამოვა. (საერთო სი-
ცილით)

პავ. აბა, რომ ვითხარით ისტეა საქმე.
ჩვენც ხელზე მოსამსახურებმა უნდა გამოუტ-
ხადოთ ხაზინის ბოიკოტი. შეიძლება სამსა-
ხურიდანაც დავითხოვონ, მარა ამისი ნუ შე-
გეშინდებთ.

ბეს. თქვენ ორშია, ბიძია საქმე, თვარა
მე ყოლიფერში ხელი მიწერია, დავითხოვენ
და წვალო.

პავ. კესა, შენ რას იხამ რომ დავით-
ხოვონ?

კესა. მეც შენთან ვარ, ჩემო პავლია,
მარა ეს დამღურება რაცხა არ მომწონს.

ბეს. ბოშო, საღაცა ქალიშვილები წვი-
კილებით სოფელში საქმაროს არჩევანზე და
ერთ წელიწადს არ ელაპარაკებით ერთმანეთს.
აქანე, რავე ქვეყნის გულიზა ერთ კვირეს არ
დაელოპარაკო ვითომ რაია!

პავ. ბოშო, ბევრი დავგვირდეს ერთი
ან ორი კვირა ეს დამღურება. შენ, ჩემო კე-
სა, ნუ შეგეშინდება, დავითხოვენ და ანა-
სუნჩი ჩვენ საქმეს, წვეიღით სახლში, ღვიწყე-
როთ ჯვარი და ვამრავლოთ მუშა ხალხი.
მარა ისე არ წვაა საქმე. ეიხსნება ბოიკოტი და
ქე დავრჩებით ისტეველ ჩვენ ადგილებზე. ხომ
თანხმა ხარ კესა?

კესა. თანახმა ვარ, მარა მის იმედი კი
ნუ გაქვს, რომ ჩვენ ადგილებზე დავტოვონ.

პავ. მის ჯავრი ნუ გაქვს. მაგიც ქეა იმ
მოთხოვნილებაში ნათქვამი, რომ ძველ მო-
სამსახურეს ვერ დაითხოვენ.

ბეს. არ დავტოვებენ და კისერი უტე-
ხიათ, რამ შეგაშინა, ბოშო! აბიპტი გოლაშია
შენი ძმაი დღეღალტის პოვხლით დღიარებო-
და და მამაშენი ასის თავით იყო ამორჩეული

სოფელში. ექვთიმე ძინძიძის ქალიშვილს
არც ქე ევადრება ასტე მშიპარა ლაპარაკი!

პავ. ნუ ყოყმანობთ, ხომ ხართ თანახმა
ვაღწვევტილების?

ბეს. იმე, რა კითხვა უნდა! (კესას) შენც
ხომ თანახმა ხარ, ბიძია?

კესა. მე რა შემძილიან, ბესარიონ! სა-
ღაც პავლია იქნება, მეც იქ.

პავ. შენ მის ჯავრი ნუ გაქვს, ჩემო
კესა, არაფერს ვაგიკირებ. ისტე შეგინახო,
რავარც ბუღოზული. აბა, საქმე ვაჩარხულია.
(ზარის სმა ისმის) ჩუ... ხაზინი და ქალბა-
ტონი მოდიან და აბა თქვენ იცი თ არ მომ-
ტეხით ძვალი და არ შემარცხვინოთ კაცი.
ხაზინმა და ქალბატონმა თუ დავიძახონ მო-
დით, მხოლოდ მუნჯათ, ენა არ დაასველოთ.
(ვეჯღანი წამოდგებიან)

ბეს. შენ აღხვინათ იყავი. შე კაცო,
ზარასპი კვაბიქამიაშვილს სამი წელიწადია არ
ველაპარაკები და მაგენტან თუ გინდა სულ
დავმუნჯდები. (ვეჯღანი გადან)

(შემდგვი იქნება)

გოგია

ს ც ე ნ ი ს მ ო უ ვ ა რ ე



აღ. პავლიაშვილი

დიდი გაჭირვებაში-
აღვ წრეულს ბაქოს
თუატრს: ვერ რეჟისო-
რი შადიაშვილი გახუ-
დათ ავად, მეუღ დაშ-
სახურებული სტენის
მოყვანე დათავო შეე-
ლიძე გამოეცადათ სე-
ლიდან, სხვა ნიჭი-
რი სტენის მოყვანე-
თავანი ალექსანდრე
პავლიაშვილი სიკვდი-

ლის პირზეა მიმდგარი.
ა. პავლიაშვილი ხუთი წელიწადია ბაქოს
სტენის ემსახურება, რომელმაც პირველი გამო-
სვლისათვისვე დაგვანახ თავისი დიდი ნიჭი. ამ
ხნის განსვლამაში კულმოდგინეთ ემსახურებო-
და ბაქოს სტენის და გაღწვევტილი ჭქონდა სი-
კვდელამდის არ მოშორებოდა მას. ნიეთარად

მიტოვებულს, გამათასსირებულს შინობებში მუფის მოზარდ თაობას მის გძმობა-გონების გაშექებას, გაკეთაღშობილებას...

თუ უფლავ ზეგით ნათქვამი გაითვალისწინეთ, ვაგნოვადღო მოგონება, რომ სიტონტხელე მართლად დაშორებულად სიმათლად, ჭკში-რიტებს, ზადმიანი მოკლებულია ბუნებურებას, სდს სიმათარულეს, სისრულიას გძმობას, რომელსაც თავისით იწუობდეს და სოკადათ ათავებდეს, სმართლადანად აღმოგხდებათ კითხვა: მამ სად, როგორი გზით გაწითთ სისრულიასკენ?

ზარველყოფილ ბუნების ქაოსიდან რომ დავიწყოთ, ვსედათ, რომ ბუნების ძალნი ურთიერთის გავლენით შენების შემაქმედებას იხევენ; ურთიერთის შესვედრად, შერწყვად, შეკლება, შეთანხმებით თვით გარდაქმნიან სიტონტხელის შინაარსს, რომელსაც შეცნობება დაიფერინდაცანის უწოდებს და რომლის შეცნობითაც სდა ორგანიზმი რთულდება უფრო სინტურენო, სრულქმნილებად. სოლო მწვერულებად ამ სირთულის ნყოფისა არის ზადმიანი. შესამჩნევია, გასაკება, რომ რაც უფრო რთულია არსება, უფრო ძნელია გარდაქმნა, უფრო დაუძლეველია, მაგრამ არაფერია მისი მახვენებელი, დამატკიცებელი რომ იგი გარდქმნილია, ან და მუდამ არის დგას იგი გარდაქმნის გზაზე. ის კი რომ ხვენი დროის ზადმიანი ნერვებ აშლიდა დანის და დტირის უსეირობას, სწორად გარდაქმნის ხსელ სავესურსზე შედგომის ურთულბობის მომასწავებელია. კიდევ ის, თუ მოიგონებთ უთვალავ გუნობსებს და ნაჭერთ, რომელნიც უფრო გძმობიერნი, ადღობანი არაან და სულ იმას სწივან, მოსთქვამენ, რომ ბუნებას დაშორებულად ზადმიანი და აბიტომ უბედურია, ამასაც ზადმიანის სწორე, სისრულიას გზაზე გაუანის სიმპტომად ზადმიანსყო.

უხლავ ავიდოთ თვით ბუნებას და მისი მწვერვალება, მუფე ზადმიანი ერთად.

თქვენს, აქ შობილით, თქვენი ქვეყნის შვილის ძეგლი რომ აიღოთ და ქიმიან დააშლეთ, გაიგებთ რომ ამ ქვეყნის შვილის ძეგლი შემაღლებლობით განიხრება სხვა ქვეყნის ზადმიანთ ძეგლიდან. ასე რომ მიყოფოთ სისხლი, კუთით, ძარღვი და ნამეტნავად უნახესი ქსოვილი სხეულის ტვინი, სეთსავე შედგეს მი-

იღებთ, ე. ი. დღეს გარწყვას. რა არის ამის მიზეზი? მეცნიერება აცხისნით: შიის უწვეული მანდილიდან გავლენა, მიწა-წყლის შემადგენლობა, მიწის ნყოფიერების თვისება და ეველას ის მიზეზები, რომელნიც ამ მიზეზების ურთიერთის გავლენისგან სდება. ხვენი სხეულის სხვაგვარი შემადგენლობა და მისი წარმოშობი რომები ერთად ქმნიან ხვენი წყლიერი შესადლებლობის შინაარსსაც და ამ უსულე და სულერი ბუნებით წარმოშობება ხვენი ენა, მუსიკა და მთელი უნარანობა ფიზიკური და სულერი მუშაობისა. მამ ეს ზად აშკარად, რომ სხვის ბუნებაზე გადახტომ, სხტად უცხოის მიღება ცალკეებას საკუთარი ბუნებისა და ნაბოლოვრად დასაკულეებელია თვით ჩამტარს ბუნებაში...

გახსენებთ თქვენ ქვეყნისა და გაითვალისწინებთ, რომ ეველავ შრავლმხრევი, მრავალშედლებიანი ბუნება, ტურფა და სტდლობები თქვენი ქვეყნისა. ეს ზადივი ოცასკება ის, რომ ზარველად ზადმიანის რთულ ცხოვრების აკანა მართლად თქვენი ქვეყნისაკენ გაიწვა, ამ მრავალფეროვანებაში უფრო მალე მოესწრო უფრო რთულის ავინება და განსახიერება, ნათელი მიზეზი ქმნიდა ეველას ამის. მამ ნუ ჰგარკავთ თქვენამდე მოღწეულის ამ ბუნებაში რვეულებს, მასთან შეფარდებულს, ჰრმობიულს, მშვენიერს თქვენს თავს, ნუ ჰბუნავთ თქვენს მსტრულს, მდღადან იერადებით სავსე ქართულ ენას, ნუ ანებებთ თქვენ მიწა-წყლის სხვას: ის თქვენი წილია და თქვენ მისი.

მოზარდნი! ისწავლეთ ზადმიანის სიბრძნით მიწვეული ცნაურებისა და უარნე დაუბრდით თქვენ სამშობლეს! თქვენ გაუსხენით გული მთაბარს და მისი სხუნე, თქვენი ნათესავი თქვენ გამოიღეთ! ურთიერთის მსგავსება უფრო ადვილად გაიკებს არსებულს, დაქმონილდება, შეკეთისება. თქვენი ოფლი თქვენს მიწას აწურეთ და თქვენ უფრო შემრგოთ შეკეთისებათ მისი დავაწლი!

და აი ხვენი ობლად მოღვწე შიოც განა სამშობლეს სიუვარულს არ გასწავლიდათ მთელი თავისი სიტონტხელი? დაისომეთ რა ნათელ გზაზე უღლია და უტარებისათ...

წარმოიდგინეთ თქვენი სამშობლეს მთელი თავისი სიღამაზით, თავისი ბუნების მეტოველ-



ბით და ღიანიხვეთ რთმ, იგი ზოგჯერ თითონ მთელ ქვეყნებში იხსენიებოდა. მისი ბუნება ზოგჯერ დადებითად მთელ ბუნების სიტყვებს უკავშირდება და აქი მასში მდგომარეობა ერის ზოგჯერ მთავრდება ხელში მარცხ, როცა კი მიჰყვება. აქი თვითონ მის ერში უფროსად ძლიერი ნიჭი ზოგჯერ, როცა რთმ სხვაგვარად კენის შიდა; აქი დღევანდელ ზოგჯერ შემოქმედების მიღწევებში სიუხვე ზოგჯერ თქვენთან ახვედრებს კიდევ: „გაგონილია ამდენი ზოგჯერ...“ აქი უფრო გვიან გონებითი ნაშრომები ჩვენთა ხორცშესხეულია ზოგჯერ, რომ ადგილი ფილოსოფიის კი. ძველზე გაგონებით სხვათა იყოფა, ხელთ ჩვენი დროის ფილოსოფიის მკვლევარნი რომ ადგილი, ჩვენი თანამედროვე კარგად ცნობილი, ბევრად მისხეილი ბ-ნი გრ. რბაქიძე, ეს ქართული სული—რბილად ელემენტ დარკვეული ეგონებაში, რომ გესაუბრებათ თავის სავსეზე, განაქართული იქნის სიღამისის შადრევანად არ გადიქცევა ხელში? მიხედა ახარა.

ამვე მიხედათ დღევანდელ შეგვიძლია ჩვენი აწითლებული, გადარდელი სიმშობლი ახვე ჩვენ თუაქონ მთელ ზოგჯერ კენითა შემოქმედებით შეგონათ განათობილებად, საფიქრებლად, მიზნად და სხედნიერად. მთავრებით ვაქ, ეს მთის შიდა დღე და დამ რა მდებრთა სიმშობლი მიღობლია ბუტბუტებს და ამრანივით მთავრებს გულდადარულ საუბრის ცქერით გულდობლი იწიწება.

მთავრებით წამებული ილია, რომელიც მუტად თუაქონიერად იხილა სულით და ხორციით განსრული სიმშობლი და მთელი თავისი სიტყვით ხან აქ ახვეთა თავისი სიტყვით ნაკადული განსიტყვებლად და ხან იქ.

ამთვერთ მათ ზოგჯერ შინაშეილი, ეს სხვა ძლიერი მომენტის მოწამე, როცა მთელი სიმშობლი წაღვევის მუქარა ტრიალებს ქვერში და იგი მანში კავთობის ქედს მოგონებთ, მედრეა ზოგჯერ რომ უღნო მხარეს მთვერთა დათვროს თავის საუბრე გადმობობიერებულ უღნო ხელებიდან, გადათვიშეუქმე ქვერიდან, ხოლო მთვერე მხარეს კალთა გაუშლია, ახვერებულა სხვა და სხვა ფრად თავისინათა სიმთვინე.

ვერ მთავრებით ამათ ზოგჯერ გრამაშიგდის საკუთარ დედაქალაქის საკუთარ დემონის წარმო-

შობილს, თვით ხელის სისხლს და ხორცს, კანს უთხარს, მკარამ მუტად რბილად მოცინარე მართ, მოქარული ენით მოღვივებულ სიტყვით ეხველებზე, სიმშობლი არე-მარეუქმე მიღობლი სიტყვებზე; უმანკო სიფარული უნდა შეგონებით მან, გონობიერი ცხეხილით და უღნო რბილად მთელი მისი მოხერხებით.

შემთხვევით ამ კანას აქი, ეს სიკვრივული ხელთხვენი მთელი სიმშობლი სიტყვით მიღობს; აქი, რომელიც არც ერთს გამწარებულს წამს არ უჭერის, სტუმს ბუკს და ნაღამს თავის სიტყვით შესგონებით და ახერხის ნაკადული მოუტებს თავის ნიჭს თავისი ტურფის, სიმშობლი სიმდრად.

ამ ბევრის ტანჯვით გული არ გატრულით, დანახვით ახრდელი არ მოგვიჩვენათ! დღევანდელ ჩველებს ჩვენი გული იმ, რომ სწორედ შიდა მღვიმელის არჩეული გზა ჩვენი ადგენისკენ წამუხანა, რომ შიდა ვი წელიწადის მშობლიერ ლიტერატურაში, განსაკუთრებით სხვაგვარა განუწყვეტლად უხარად მუშობს და ჩვენ ურმათა სულს გრძობიერი გულით, ფრთხილის მოხერხებით, ახერხით სხვე ენით გულს მიფრინობს და ბადეთ ქსოვილ უმადღეს ჭეშმარიტებასთან ატარ-ჩატარებს. რომ თვით ბუნებში ამ სიმსხუთისთვის შიდა შეფრებით, როცა რბილად ქართლის კარგად სიტყვით მღვიმელს ზოგჯერ ჩანებ მისცა, ჩვენი დაუნახობას შიდა განმობებით არ გაუზახს და შემოქმედებით სდარჯობს სრულიფრთხი ჩვენი, ფარგანად დასიტრიალებს დამსხუთხობის გზაზე განჯავს თვით სიტყვით.

მთვერთ მის წინ გულმთვარა თავი, ხოლო სიტყვით შეგონით, რომ ტურთა ქვერბინის შეილება დავებდა.

ბარბარე სულხანიშვილი

მწიგნობრობა

„ბიორბი და ბაშრბა“, გამოცემა „კლისა“ 7 კ. ძლიან ვწუხვარ, რომ ის სახლო საკითხავი, ჩველებრივ განვიადებულ ფრანკოლოგიას მოკლებული წიგნი, რომელსაც ბიორბი და ბაშრბა“ ქქიან, ცნობილ ატორ მუანასი, მხოლოდ ამ უნასხველს ხანებში ეხველეთ.

კითხულობთ და ვერ განცნობდნენთ ის მასშტაბი, რომლითაც ავტორს ორი ზიროვნების — გიორგისა და გეორგიას — სხენი დაუხოშია. ამ ზატრას წიგნში გხვდებით ისეთი სავსებითაა, რომ, რომელიც ჩვენი დღევანდელი ცხოვრების ვითარების გამოცხადებაა. ჭკუდავთ იმ დაქვეითებას, რომელიც ჩვენი ხალხის ვითომ უკეთესობადაა ნაყოფია. გიორგის ზიროვნება, რომელიც ტიპისა, სავსებითაა იეროვანი გვარია. ვერ უნდა, მისი გამოცხადების ქართული კაცის ხასიათის ერთი მუსლი — ვადრესი „სტუმართმოყვარება“, რომელიც გიორგის დაუფიქრებლად, გადაჭარბებულად შეუცნია და ამით თითქმის სისხრილო გამხდარა, მით უფრო, რომ ეს თვისება სხვის ბოროტად უსარგებლანა: მეორე, — გიორგი სარკა, რომელიც დღევანდელ ქართველობას თავისი თავი უნდა აჩვენოს და სისარგებლო არსებობის პერსპექტივებით ბედუქლოს. და თუ ეს ასე არ არის, მისი რის მოსწავლეს ის მდგომარეობა, ის ფარგალი, რომელიც უხასიათო გეორგიამ დასაკუთრდა?!. გეორგი, რომელიც ზიროვნება გამოცხადებისა, ცხრად მოკავშირეა იყო, იმდენს სერეს, იმდენს უზატოეცემუდობას სმარებს, რომ სოციალისტის თანდათანობით გიორგის ქონებას ხელთ იგდებს. ამ გამდიდრებასთანვე დაშორებულა მისი სხულის განდიდება. თუ იგი ზიროვნებად „უსახელო“ იყო, შემდეგ რატომცაღ თავისი სახელსა. ტიპი მოწყობას და, თუ მხარულ გეორგი სიმონის სახატანობა არ გამოადგინათ, გავლანდობად კიდევ... და საქმე იქამდე მიიყვანა, რომ მისი შემწე გიორგი თავის მოხარულ გამოიყვანა...

აი, ეს გიორგის თანდათანობით გამდიდრება-დაცემა, და გეორგიას განსახლებობა და გამოდიდრება, ობობად კარდაქმნა, დირსუქსანიშნავ ავტორს — მუდანიას — ისეთის მომხიბვლელია, ისეთის სიმართლიანობით შემუშავებულია, ისეთი ალწერილი, რომ, ჩაფიქრების შემდეგ, მისი ნაწიის დიადობას უშუქვლად აღიარებთ... ესაა რომ ისეთი სანაო, შედარებით, უშუქდომია, რომ ამ მხარეც დიდ განის წარმოადგენს... და ჩვენც არა დავერჩინება კანცა იმისა, რომ მუდანიას მხსნა და მის კალამს გამოვლადება უკუხრეთ...

მიშო



სასაზოგადოებრივი მხარობა კვირას, 6/III დ. კონქაძის ხსოვნის აღსანიშნავად 3. გელევილია წიკითხა ლექსითა. ვადალი ხალხს დ. კონქაძე და განმარტა მისი შემოქმედება „სურამის ციხე“. დ. კონქაძის სურათი ვარდ-ყვავილებით იყო შემკობილი, წიკითხის ლექსები: ბაბოლიანი და ახელედიანისა, გ. შინატყელმა, ახოსპირელმა, ქუჩიშვილმა და სხ. შემდეგ მხ. სახლ. წრემ წარმოადგინა ილია ჭავჭავაძის 3 მოქ. დრ მა პატონი და ყმა“. წარმოდგენამ საშუალოდ ჩაიარა. ხალხი ბლომად დაესწრო. ა—ლი

პედაგოგის პალეს-თიბრის შობის, 5 მარტს ავღაბრ. ქართ. წარმ. მმართ. სცენის მოყვარ. ამხანაგობამ წარმოადგინა 4 მოქ. დრამა „უმიშეჯარნი“. სამუშაოთად ხალხი ძალიერ ნაკლებად დაესწრო, საჭიროა სცენის მოყვარეთ გათვალისწინებული ჭკონდით თვისი მიზნის ინტერესი, ყოველთვის მხედველობაში იქონიონ ხალხის ხალისი, აართვან ალღო და ისე აწარმოონ წარმოდგენების საქმე. მონაწილენიც ვერ იყვნენ მომადიდებულნი: რევაზი (სტყფან გაბრიელი) ბევრჯერ ისე გადახდავდა სხვა და სხვა არს ერთმანეთზე, რომ ხალხისათვის გაუფიქრებელი რჩებოდა, ბევრჯერ უახროდ, უგანძობლად იმეორებდა სიტყვებს. სააკოვისას (ამისი ცოლი) ბევრითა ეტყობა, მაგრამ კარგი იქნება ქართული კილო წმიდად დაიცვას და არ ამახინჯებდეს. სულხანიშვილი (ვასია) ბევრჯერ შეუფერებლად იქცეოდა, მაგრამ მინც საშუალოდ ხელს უწყობდა. მარგველაშვილი (გლაშა) სუსტობდა, საჭიროა მეტი გრძობიერობა, მეტი თვისი პიროვნების დავიწყება. ი. ყუიშიძე (გვარია, გლაშას ძმა) კარგად შეასრულა, უფრო კი მეტი მოთხოვნებოდა, მაგ. გაჯავრების დროს, ბევრჯერ სახის გამომცეცელებს სულის მოძრაობას ვერ გამოხატავდა. რომანიშვილი (გვარსამე) როლი, თითქმის, ზეპირად ჰქონდა შესწავლილი, სხვაფერადვე აღა უშვავდა. რეჟისორობის მხრივც ნაკლი იქნებოდა.

წარმოდგენა დაიწყო თითქმის 10 ს. გათავდა 12^{1/2}, რაიც სასურველი არ არის ვეფხო

დ. ზუბოდიშვილი კვირას, 21/II, აღგობობრივ საქვებლად დარბაზი ახალგაზდა სცენის მოყვარებებმა წარმოადგინეს პატონი და ყმა“, დრ. 8 მ. წარმოდგენამ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. არა უშავდა გვიქიას (თ-ლი დათიკო). კ რგები იყვნენ აგრეთვე კ. აღამია (გაბრო) და კ. ანთელავა (პეპია), სერთოდ მისამ კარგად ჩაიარა. დასასრულ წარმოადგინეს დ. აწყურე-



ლის ვოლ. „ორი მზიერი“, რომელშიაც ბევრი აქი-
ნეს საზოგადოება ვ. ჯიქია და ვ. მუხრანბაძე. ვუ-
სურვებ ამ ახალგაზრდათა წრეს გაპარჯვებას.

კამაყოფილი

წვერილი აგებები

◆ **სახსულიერო კონცერტი**, ჩვენი დამახუ-
რებული მუსიკოსის ია კარგარეთელის ხელმძღვანელო-
ბით, თბ. სასულ. სემინარიის ქართულ მგალობელთა
გუნდის მიერ გაიმართება დღეს, 13 მარტს დილით,
„ახალ კლუბის“ დარბაზში. პროგრამა ახალი საგა-
ლობებისგან არის შემდგარი და საყურადღებოა.

◆ **კომპ. მელიტონ ბალანაშვილი**, როგორც
პეტროგრადიდან გეტყობინებენ, დამთავრა თვისი
ოპერა „თაბარ ციხერი“, ქართულად და რუსულად
(რუსულის ტექსტი ვ. ველიჩკოსი). ოპერას აწარმოებენ
და ამ ორ თვეში პეტროგრადის მიხეილოვის საიმპ.
თეატრში დასდგავენ ავქსონის ლობჯინაძის ხელის
მოსუშენია, დიდათ აქებს. განზრახულია ცალკე წიგნა-
დაც გამოცემ. კომპოზიტორი ამ ეამად სწერს ახალ
რომანებს. დაუწერია: „ქართული პიში“, „სამშობ-
ლო ხეცურისა“ და სხ. ნაწილი მათი პეტროგრადში
უკვე იბეჭდება და მალე გასასყიდათ გამოვა.

◆ **შალვა დადიანი** ავღა და, როგორც ქუ-
თაისიდან გეტყობენ, ლოგინად წყნის. მას განზრახავს,
შემოდგომამდე აღარ მიეყაროს სქენას და მხოლოდ
ლიტერატურულ შრომას მოჰკიდებს ხელს.

◆ **ხალის მოწვევით** გამოვა ნიკ. ტარ. დადიანის
და მისი შვილის—შალვა დადიანის ნაწერები.

◆ **ქართ. ღრამ. ღრამი** სახ. სახლში ორშა-
ბათს, 7 მარტს წარმოადგინა „ოტელო“. ხალხი მრავ-
ალი დაესწრა.

◆ **მ. იმ. სარაჯიშვილის** 1000 მ. შეს-
წირა ქუთაისის თეატრის ასაშენებლად.

◆ **ჯუბაბუნის გადაწყვეტილებით** ასა-
შენებელ თანხს კასპლიერებლად აღგილობრივმა ვა-
ჭარმა—ბანკის დირექტორმა მელიტონ გაჩეჩილაძემ
შესწირა 400 მან.

◆ **ქართულ მოღვაწეთა** ავარაკის ასაშენებელ
თანხის გასაძლიერებლად ნინო ქ. ყიფიანისმა შესწირა
300 კვად. საფენი მიწა ქიზსუხეთში.

◆ **ალ. სიმ. ლიტონიშვილი**, ქართ. მოღვა-
წეთა ავარაკის აღმშენებელ კომისიის თავმჯდომარე,
სთხოვს ყველას, ვისაც ხსენებულ კომისიის ბარათები
ანუ მოწოდებანი აქვს ფულის შესაკრებად, შეკრებილი
ფული ჩქარა გამოუგზავნოს და აწარინებში გაუსწოროს.

◆ **გონსანი ს. აბაშელი** უკვე დაბინავდა სო-
ხუმში შანშივის პანსიონში. ბინა საუცხოვოა და თუ
ნივთიერად ხელიც შეუწყოთ, სრული იმედია, მალე
განიკურნოს.

◆ **გონსანმა გელამ**, ასტრახანს გადასახლე-
ბულმა, საწიში ოპერაცია მშვიდობიანად გადაიტანა

და უკეთა, ამ ეამად სთარგმნის მილტონის შესანიშ-
ნავს პოემას „დაკარგული და დაბრუნებული სამოთ-
ხე“ ს. დასწერა პოემა „ნანგრევებზე“ და ორ მოქმედ-
ბიანი პიესა „ბედის ფერხული“.

◆ **ქართულ ქალთა** ერთ ჯგუფს, ნინო ყი-
ფიანის თაოსნობით, განუზრახავს სასილოლო მოაწყოს
და შემოსავალი ქართ. კულტ. მოკვ. საზ-ას გადასცეს
ნიკიერ ახალგაზრდ ქართველთა შესაწყვერად. ნ. ყ—სამ
ამის შესაფერი განცხადება უკვე წარუდგინა ხსენებულ
საზ-ას.

◆ **ქართ. კულტ. მოკვ. საზ-გამ** გადასწყვი-
ტა ამ ზედხელს ექსკურსია მოაწყოს ჩვენი ქვეყნის
სხვა და სხვა კუთხის შესაწყვერად.

◆ **ქუთაისის მანდილოსნო** ერთი ჯგუფის
თაოსნობით ქუთაისში გასულ კვირას „ფინჯანი ჩაი“
გაიხსნა, რომლის შემოსავალი გადაიდგმა ქუთაისის
საღმშენებლო ფონდის გასაძლიერებლად.

◆ **ახალი პიესები** 1) არციბაშვილის „ველურის
სამართალი“ და 2) ურვანციკის „ვერა მირცივისა“
რუსულიდან ქართულად სთარგმნა ივ. თ—ძემ. ამ ეა-
მად სთარგმნის შიშანსკის „სისხლი“-ს.

◆ **გასულ კვირის ნომერი** მოსათავსებელი
წერილი „პირველი მერცხალი“ ვერც ამ ნომერში
იბეჭდება.

◆ **დ. ჯუბაბუნის** კვირას, 6 მარტს, სა-
კრებულს დარბაზში მახაბო ვ. ურუშაძის საბუნდუ-
ლოდ მ მიღვის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნა
კომედიები „საძაგული“, დ. ერისთავისა და „ჩემი ბრა-
ლია“, თარ. ვ. შალიკაშვილისა. თეატრი გაჰყვილი
იყო საზოგადოებრივ. წარმოდგენამ კარგად ჩაიარა. მო-
ბუნდუისეს მითარგმნა ფულად 50 მან. და ვერცხლის
ძვირფასი საჩუქრები.

◆ **სახალხო სახლი** 9/III წარმოადგინეს
პირველად ახალი პიესა „ბარტერ ტუზაზურ“. რეკენ-
ზია შემდეგ.

ს. აბაშელს ბრძოლის ველიდან

ძლიერ დაგვადანა ჩვენი მგონის ს. აბაშელის
ავადმყოფობამ ქუსურვებთ მალე გაჯანმრთლებას და
ამასთან ვახლეთ ჩვენს აწარმავურ ნივთიერ დახმარე-
ბას „თეატრი და ცხოვრების“ რედაქციას. იმედია,
ყველა გაუწყებს ნივთიერ დახმარებას. შემომპირველთა
სია: სამ-მანი მან. ა. სერგოშვილი, ვ. კობიძე,
კ—შმა მ. მ., კ. ქავთარაძე მ. მ.; ორ-ორი მან. ს.
ტ—ოგმა და ი. ქელიძე; თითო მან. მ. ბეჟაშვილი,
სულ—18 მ. *)

ქალ. კავშ. სასანიტ. რაზმის წევრთა მონაღობი-
ლობით გ რ ი გ ლ კ ო მ ი ძ ე.
ს. ხანოსკალა.

*) ფული დანიშნულებისამებრ გაგზავნა ავად-
მყოფ მგონს სოხუმში.

რედაქტორ-გამომცემელი ანნა იმედაშვილისა

„სახლი კლუბი“

ჰშირას, 13 მარტს.

ია კარგარეთლის ხელმძღვ.

სასულიერო

კონსერტი

რომლის წმინდა შემოსავალი გადაიდება სასულიერო სემინარიის ღარიბ მოწუფთა სასარგ.

ბილეთების ფასი 2 მან. 20 კაპ. 40 კაპ. გაიყიდება კლუბის შესავალში.
დასაწყისი საღამოს სრულ 9 საათზე.

სახლსო სახლი

სამშაბათს, 29 მარტი ქრთ, დრამ. საზიან დასის მიერ წარმოდგენილ იქნება:

დალასტი

დრ. ნ მოქ. ა. სუმბათაშვი. თარგ. გ. კიფშიძისა ზეინაბი—ნინო დავითაშვილი.

მონაწილენი: ქ-ნი: ჭიქოძე, ბეჟანიშვილი, ბ-ნი ვ. გუნია, გომელაური ზ., თარალაშვილი ი., კორიშვილი პ., იმედაშვილი ა., იშნელი გ., მამფორია ი., თიფიძე ი. სარაული მ., ვარვარიძე ვ., ჩაგუნავა ნ. ადგილებების ფასი 15 კ.—1 მან. 50 კად.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

რეჟისორი ან დრონიკაშვილი

სახალხო სახლი

სარამოვას, 25 მარტს.



მ. კავსადიას ლოტბარობით

ღიღი კონსერტი

თანამედროვე აზრი

გაზეთი ღირს როგორც თფილისში ინე პროვინციაში მთელი წლით 8 მან., ნახევარი წლით 4 მან. 50 კ. ერთი თვით 90 კ. გაზეთის ფასიხელის მომწ. წინდაწინ უნდა გაიღოს. ნისიით არავის გაგზავნება.

ფოსტით ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисы, поч. ящ. № 199 Власію Маланіевичу Бохохадзе.

თფილისის ხელის მომ. ფული უნდა შემოიტანონ კანტორა „განათლებაში“ ოლას ქუჩა № 6 მომავალ წლის მომწერლებს კანტორა უმორჩილენად სთხოვს ფული 20 დეკემბრამდე შემოიტანონ.

„განათლება“

ქ. თბილისში ოლას ქუჩა № 6.

კვანავებს ატეხტებს: „თეატრი და ცხოვრება“, „თან. აზრი“, „უკ. შათახია“, „საქარაფელო“, „Тифлискій Листок“, „Русское Слово“, „ჭობროზნი“, კედლის კაღენდებია და სხ და სხ. ქართული წიგნები. ფული წერილები უნდა გამოგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисы, почтовый ящик № 96, С. Таваркиладзе.

სახალხო ფურცელი

სურათებიანი დამატებით გაზეთი ღირს წლ. 9 მ. 50 კ., ნახ. წლით 5 მ., სამი თვ. 2 მ. 50 კ. თვით 90 კ.

წლიური ხელის მომწერნი მიიღებენ პრემიას, თხზულებას თანამედროვე სოციალ-პოლიტიკურ ერაგ. მდგომარ. შესახებ.

თხზულების დაწერაში მონ. იღებენ.

კ. აბაშიძე, ი. გელევანშვილი, გრ. გველესიან, გ. ლასხიშვილი, გ. შიაშვილი, გ. რტილაძე, გ. ჭიქოძე, ს. ფირცხალავი, თ. ლომინაძე და ა. ჯაჯანაშვილი.

მისამ.: თბილისი, სახალხო ფურცლის რედ-აქ., სახალხის ქუჩა, სარაჯიშვილის სახლი № 6.

ნომრები „აპროკრა“

ახლად შეკეთებულა. საუცხოვოდ მოწყობილი, სუფთა, ელექტრონის სინათლით ქალიქის შუაგულს, გორონცოვის ძველთან ნომრები ოთხი აბზიდან. ნომრებში საზმარეულო, ცხელი და ცივი წყლით (დუში და ანა). თბ., მობ. პრ. № 6. ტელ. 13—14 (წ)

სცენის მოყვარე-მუშაკთა საყურადღებოდ:

И. Т Полумордвиновъ.

Списокъ пьесъ

На грузинскомъ языкѣ,

разрѣш. нъ представл. на сцен. Кавк. Края. ц. 40 коп. Тифлисы Цензурный Комитетъ

Донаволено Военной Цензурой სტამბა „სორაპან“



უკვე იბეჭდება

უკვლახთავის საჭირო და სასარგებლო წიგნი

უსხო სიტყვათა სრული ლექსიკონის

ანუ ქართულს ენაში შემოსულ უცხო სიტყვათა ახსნა-განმარტება

შედგენილი იოსებ იმედაშვილის მიერ

მეორედ შეესწავლულ-შესწორებული (პირველ გამოცემაზე ბევრად გადიდებული). წიგნი ახსნილ-განმარტებულია სამოც ათასამდე (60000), უცხო ენათაგან (ფრანგულ, ინგლისურ, ლათინურ და სხ.) შემოსული, სიტყვა და ანბანა წიგნი შეიცავს ათას ექვსას სვეტამდე, მოზრდილი ზომისაა, აწყობილი იქნება ახალი კორპუსის მთავრული და ჩვეულებმრივი ასოთი, ჩამხული ინგლისურ საუკეთესო კალენკორის ყდაში, მოთქოვილ-მოფარაკებულ ასო არშიეგბით შემკული. ვინც ისურვებს, წიგნზე დაიბეჭდება მისი სახელგვარის პირველი ასოები.

ხელისმომწერთათვის გავზანით ღირს ორი (2) მანათი (ფულის გადახდა შედევათათა შეიძლება: ხელის მოწერის ღროს 1 მან., დანარჩენი—წიგნი გამოსვლის უამს ახალ ხელისმომწერთათვის 2 მან 50 ჰკა).

ხელის მოწერა მიიღება: ყურ. „თეატრი და ცხროგრები“ რედაქციაში „სორაპანა“ (სტამბაში). ფოსტით: ტიფის. რედ. „Театри да Цховреба“
Иос. Имедашвили.

1916 მიიღება ხელის მოწერა 1916

ყოველკვირეული სათეატრო, სალიტერატურო, სახელოვნო-სამხატვრო, საზოგადოებრივ შინაარსის სურათმზიანი ყურნალი იშმორისტული განყოფილებით, შარუებით და კარიკატურებით

ვალიხალი
მერთხე

„თეატრი და ცხროგრები“

ვალიხალი გამოცემისა მერთხე

1916 წელსაც გამოვა

წლიურად
ჩ მან.
ნახ. წლ.
ჩ მან.

ჩვეულებრივი სრული პროგრამით, უკვე ცნობილი რედაქციით, სახელოვნოეკილ და ახალ-გაზრდა მწერალთა მონაწილეობით.

ყურნალი პარტიათა გარეშეა, პროგრესიული მიმართულებისა

ყურნალში სურათსამდე სურათი დაიბეჭდება

ფასი: წლიურად ისევე 5 მ., ნახევ. წლით—ჩ მ. ფულის შემოტანა ნაწლ. ნაწილადაც შეიძლება. ხელის მოწერის ღროს—2 მ. მისში—2 მ. ენკენისთვის 1 მ. ვინც მთელი წლის გადასახადს ამ თავითვე შემოიტანს, ამა ქრისტეშობისთვის ნომრებიც გავეზავნება.

ხელის მოწერა მიიღება „სორაპანის“ სტამბაში (მალათოვის კუნძ. № 1, ვორონცოვის პატარა ხიდის ყურში, მუხრან-ბატონის სახ.) იოსებ იმედაშვილთან დილით 9—2 ს. სად. 5—7 ს. ფოსტით: ტიფის, რედ. „Театри да Цховреба“—Иос. Имедашвили.

ტელეფონი № 15—41.

რედაქტორ-გამომცემელი ანნა იმედაშვილი